პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!




# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

9 დეკემბერი ოთხშაბათი 1970

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 287 (14891)

1971 წლის 30 მარტს მოწვეულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგი XXIV ყრილობა

ახალი გამარჯვებებით შევეგებოთ ამ ისტორიულ თარიღს!






## გუშინ, მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა სსრ კავშირის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

# პარტიისა და ხალხის შთაგონებული გეგმები

**ყოველი** ნაბიჯი კომუნიზმის ძლევამოსილი მშენებლობის გზაზე, ჩვენი ქვეყნის ყოველი წარმატება საერთაშორისო ასპარეზზე განუყრელად დაკავშირებულია კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის საქმიანობასთან. თავისი ბრძნული პოლიტიკით კომუნისტური პარტია შთააგონებს ხალხს ისეთი შრომითი მიღწევებისათვის, როგორიც არ ახსოვს ისტორიას. პარტიის გეგმები გახდა თვითეული საბჭოთა ადამიანის პირადი გეგმები. მათს განხორციელებას იგი ახმარს მთელ თავის ცოდნას, ენერგიას, მთელ თავის გამოცდილებას.

ყოველივე, რასაც საბჭოთა ხალხმა მიაღწია დღეს, — ეს არის ჩვენი სახელოვანი ლენინური კომუნისტური პარტიის წარმატებითი პოლიტიკის შედეგი, მისი მებრძოლი რაზმების დაუცხრომელი საქმიანობის შედეგი, თქვა ერევანში გამართულ საზეიმო სხდომაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

ლენინის ანდერძისადმი ერთგულება, კომუნისტური პარტიის გარშემო საბჭოთა ხალხის მონოლითური შეკავშირება ჩვენი ქვეყნის მომავალ გამარჯვებათა საიმედო გარანტიაა.

სკკპ XXIII ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებით შთაგონებულმა საბჭოთა ადამიანებმა კარგად იშრომეს ამ ხუთწლედში, მოიპოვეს ახალი დიდი გამარჯვებანი. განსაკუთრებით ღირსშესანიშნავი იყო 1970 წელი — ხუთწლედის დამამთავრებელი წელი, ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის წელი. საბჭოთა ადამიანების თავდადებულ შრომას შესანიშნავი შედეგები მოჰყვა, ყოველდღე კოლექტივები, ოლქები, რესპუბლიკები, მრეწველობის დარგები სამშობლოს უპატაკებენ ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულების შესახებ.

ეს წარმატებანი თვითეულ საბჭოთა ადამიანს უნერგავენ იმის გრძნობას, რომ იამაყოს თავისი სამშობლოთი, ჩვენი პარტიით, ჩვენი გმირი ხალხით.

ჩვენს წინაშე დასახულია კომუნისტური მშენებლობის ახალი გრანდიოზული გეგმები. ჩვენი ქვეყანა ემზადება სკკპ XXIV ყრილობის შესახვედრად, ეგებება მას ახალი შრომითი წარმატებებით. სულ უფრო ჩაღდება ყრილობისწინა სოციალისტური შეჯიბრება.

7 დეკემბერს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა ძირითადად მოიწონა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები და დაავალა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შეიტანოს ისინი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად.

დღეს, 8 დეკემბერს, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატები შეიკრიბნენ კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე, რათა შეაჯამონ გაწეული მუშაობის შედეგები, განიხილონ და დაამტკიცონ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტები — 1971 წლის გეგმა და ბიუჯეტი, განიხილონ დღის წესრიგის სხვა საკითხები.

დილით პალატების ცალ-ცალკე სხდომებზე — ეროვნებათა საბჭოში ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ **ი. ს. ნასრიდინოვას** თავმჯდომარეობით და კავშირის საბჭოში კავშირის საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ **ა. პ. შიტიკოვის** თავმჯდომარეობით დაამტკიცეს სესიის დღის წესრიგი:

1. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმა.

2. სსრ კავშირის 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და სსრ კავშირის 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება.

3. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტი.

4. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

დაამტკიცეს აგრეთვე სესიის მუშაობის წესი.

სესიის მონაწილეებმა პალატების სხდომებზე ფეხზე ადგომით პატივი სცეს სესიებს შორის განვლილ პერიოდში გარდაცვლილი დეპუტატების რ. ი. ფრუიძის, ტ. სულთანოვას, ა. ი. ერიომენკოს, ი. გ. კოვალისა და ა. ა. მიურისეპის ხსოვნას.

ეროვნებათა საბჭოს სხდომაზე დეპუტატებმა მოისმინეს და დაამტკიცეს სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ვ. ვ. შევჩენკოს მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს ახლად არჩეულ დეპუტატთა რწმუნებების შემოწმების შესახებ.

უხუცესთა საბჭოს წინადადებით დეპუტატებმა ეროვნებათა საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს დეპუტატი **გ. ი. ქადაგიძე.**

■ ■ ■

დღის 12 საათზე კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა სსრ კავშირის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა.

დეპუტატები და სტუმრები მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეეგებნენ ამხანაგებს **ლ. ი. ბრეჟნევს, გ. ი. ვორონოვს, ა. პ. კირილენკოს, ა. ნ. კოსიგინს, კ. ტ. მაზუროვს, ა. ი. პელშეს, ნ. ვ. პოდგორნის, დ. ს. პოლიანსკის, მ. ა. სუსლოვს, ა. ნ. შელეპინს, პ. ე. შელესტს, ი. ვ. ანდროპოვს, ვ. ვ. გრიშინს, პ. ნ. დემიჩევს, დ. ა. კუნაევს, პ. მ. მაშეროვს, ვ. პ. მჟავანაძეს, შ. რ. რაშიდოვს, დ. თ. უსტინოვს, ვ. ვ. შჩერბიცკის, ი. ვ. კაპიტონოვს, კ. თ. კატუშევს, თ. დ. კულაკოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, მ. ს. სოლომენცევს,** როცა ისინი ლოჟებში შემოვიდნენ.

ბალკონზეა უამრავი სტუმარი — დედაქალაქისა და ოლქის მშრომელთა წარმომადგენლები. ლოჟებში არიან უცხოელი დიპლომატები, საბჭოთა და საზღვარგარეთელი ჟურნალისტები.

ორივე პალატის გაერთიანებული სხდომა გახსნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა **ი. ს. ნასრიდინოვამ.**

დეპუტატ **შ. რ. რაშიდოვის** წინადადებით სესიამ ერთხმად აირჩია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ უზბეკეთის სს რესპუბლიკისაგან დეპუტატი **ნ. მ. მატჩანოვი.**

ამის შემდეგ დეპუტატები შეუდგნენ დღის წესრიგის პირველი საკითხის — სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმის — განხილვას. მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ დეპუტატმა **ნ. კ. ბაიბაკოვმა.**

დღის წესრიგის მეორე საკითხზე — სსრ კავშირის 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და სსრ კავშირის 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება — გამოვიდა სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრი დეპუტატი **ვ. თ. გარბუზოვი.**

ამით დამთავრდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს პირველი გაერთიანებული სხდომა. (საქინფორმი).



მოსკოვი. კრემლის დიდი სასახლე. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა.

(საქინფორმი, მიღებულია სტასის ფოტოტელეგრაფით).

# სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმა

## სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის დეპუტატ ნ. კ. ბაიბაკოვის მოხსენება

ეს სესია, თქვა მომხსენებელმა, შეიკრიბა მშრომელთა ახალი შემოქმედებითი აღმავლობის ვითარებაში. ჩვენს ქვეყანაში გაიშალა საყოველთაო სახალხო შეჯიბრება ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის, პარტიის მომავალი XXIV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

მიწურული 1970 წელი — ლენინის იუბილეს წელი — ჩვენი სამშობლოს ისტორიაში შევა როგორც წელი ახალი დიდი წარმატებებისა ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში. „ლუნა-16" და „ლუნა-17" ავტომატური სადგურების შესანიშნავმა ფრენამ, რომლებმაც პირველად განახორციელეს მთვარის გრუნტის ავტომატური ჩამოტანა დედამიწაზე, და მთვარის ზედაპირის გამოკვლევა თვითმავალი აპარატით, კვლავ დაადასტურა ჩვენი მეცნიერებისა და ტექნიკის მაღალი დონე.

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის პარტიის კურსის თანმიმდევრული განხორციელების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის დეკემბრისა და 1970 წლის ივლისის პლენუმების გადაწყვეტილებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ საბჭოთა კავშირის მთელი ეკონომიკის ზრდის დაჩქარებისათვის და ხელს შეუწყობენ კომუნისტური მშენებლობის ამოცანების უფრო წარმატებით განხორციელებას. 1971 წლის სახალხო სამეურნეო გეგმის პროექტი შემუშავებულია პარტიის ამ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა გათვალისწინებით.

ნ. კ. ბაიბაკოვი შეეხო 1970 წლის ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანეს შედეგებს. მიმდინარე წელს, განაცხადა მან, ჩვენმა ქვეყანამ მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებაში, რამაც საშუალება მოგვცა უზრუნველგვეყო 1970 წლის გეგმის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება. ყველა მოკავშირე რესპუბლიკა და სამრეწველო სამინისტროები წარმატებით ასრულებენ სახელმწიფო გეგმის დავალებებს.

წინასწარი შეფასებით, ჩვენი ქვეყნის ეროვნული შემოსავალი მიმდინარე წელს გაიზრდება 7,6 პროცენტით. მრეწველობის პროდუქციის მოცულობა შარშანდელთან შედარებით გადიდდება 8 პროცენტით, მათ შორის „ა" ჯგუფის პროდუქციისა 7,9 პროცენტით და „ბ" ჯგუფის პროდუქციისა — 8,3 პროცენტით. ჩვენი ქვეყანა გეგმის გადამეტებით მიიღებს ხულ დოტა 5 მილიარდი მანეთის სამრეწველო პროდუქციას. უნდა აღინიშნოს, რომ ნოემბერში წარმოების გეგმის მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულების შედეგად მრეწველობის პროდუქციის გამოშვების ზრდა მიმდინარე წელს, შესაძლოა, ამ შეფასებაზე რამდენადმე მაღალი იყოს.

მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწიეს სოფლის მშრომელებმა. სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია მიმდინარე წელს დაახლოებით 6,5 პროცენტით გაიზრდება და 84 მილიარდ მანეთს მიაღწევს. წელს მოწეულია მარცვლეულისა და ბამბის კარგი მოსავალი. გაიზარდა სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოება და დამზადება.

უფრო წარმატებით მიმდინარეობს კაპიტალური მშენებლობა. კაპიტალური დაბანდებანი სახალხო მეურნეობის განვითარებაში მიმდინარე წელს შეადგენს 80,5 მილიარდ მანეთს, ანუ 9,3 პროცენტით მეტს, ვიდრე 1969 წელს. ყველა სახეობის ტრანსპორტის ტვირთბრუნვის დავალებანი გადაჭარბებით შესრულდება.

თანამიმდევრულად ხორციელდება პარტიის კურსი — საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების კურსი. მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო ხელფასი მიმდინარე წელს გაიზრდება 4,4 პროცენტით და კოლმეურნეთა შემოსავალი კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ მეურნეობიდან — 6,6 პროცენტით. წელს მოსახლეობა მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან მიიღებს სულ 63 მილიარდ მანეთზე მეტ ფულად მისაცემელს, აგრეთვე უსასყიდლო მომსახურებას, ანუ 7,3 პროცენტით მეტს, ვიდრე შარშან. მთლიანად ერთ სულ მოსახლეზე რეალური შემოსავალი გაიზრდება, როგორც დაგეგმილი იყო, 5,2 პროცენტით. სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საქონელბრუნვის გეგმა გადაჭარბებით შესრულდება და შარშანდელთან შედარებით 7,2 პროცენტით გაიზრდება.

მიმდინარე წელს აშენდება 106 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, რაც საშუალებას მოგვცემს გავაუმჯობესოთ თითქმის 11 მილიონი კაცის საბინაო პირობები. მაღალი ტემპით ვითარდება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება. კიდევ უფრო განვითარდნენ განათლება, კულტურა და ჯანმრთელობის დაცვა.

1970 წლის გეგმის შესრულების წინასწარი შედეგები მთელი დამაჯერებლობით მოწმობენ აგრეთვე იმას, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის დირექტივები უმნიშვნელოვანესი ეკონომიური და სოციალური მაჩვენებლების მიხედვით წარმატებით სრულდება. ეს მიღწევები შედეგია საბჭოთა ხალხის გულმოდგინე შრომისა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უდიდესი ორგანიზატორული მუშაობისა.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო 1971 წლის სახალხო მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანეს საკითხებს. მან აღნიშნა, რომ სესიის განსახილველად წარმოდგენილი გეგმა შემადგენელი ნაწილია 1971–1975 წლების მეცხრე ხუთწლიანი გეგმისა, რომლის შემუშავება ამჟამად მიმდინარეობს.

1971 წლის სახელმწიფო გეგმაში, განაცხადა ნ. კ. ბაიბაკოვმა, გათვალისწინებულია მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის შემდგომი განვითარება, საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლება, ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება, მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან ეკონომიური თანამშრომლობის გაფართოება. 1971 წლის — ახალი ხუთწლედის პირველი წლის გეგმის მთავარი ამოცანებია საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება და ამ საფუძველზე სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებისა და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების მაღალი ტემპის უზრუნველყოფა.

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდებისათვის გათვალისწინებულია მისი სტრუქტურისა და სახალხო-სამეურნეო პროპორციების შემდგომი სრულყოფა, წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის დაჩქარება, მატერიალური, შრომითი და საფინანსო რესურსების უფრო რაციონალური გამოყენება, წარმოების მართვის სრულყოფა, სახელმწიფო საგეგმო და შრომის დისციპლინის გაძლიერება. უფრო სწრაფი ტემპით, ვიდრე მთლიანად მრეწველობა, განვითარდება ის დარგები, რომლებიც განსაზღვრავენ ტექნიკურ პროგრესსა და ეფექტიანობის გადიდებას სახალხო მეურნეობაში. ეს არის ელექტროენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა, ქიმიური, ნავთობქიმიური, ნავთობისა და გაზის დარგების მრეწველობა.

სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების ამოცანათა შესასრულებლად გათვალისწინებულია სოფლის მეურნეობასა და მასთან დაკავშირებულ მრეწველობის დარგებში მნიშვნელოვნად გაიზარდოს სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი, იზრდება ტექნიკის, მინერალური სასუქებისა და სხვა სახეობათა მატერიალური რესურსების მიწოდება, კიდევ უფრო განვითარდება სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა, რათა უზრუნველყოს ენერგოაღჭურვილობის ზრდა სოფლის მეურნეობაში.

გეგმაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება შრომის ნაყოფიერების ზრდას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, რაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერების აღმავლობის გადამწყვეტი ფაქტორია. 1971 წელს შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად მივიღებთ სამრეწველო პროდუქციის მატების 87 პროცენტს, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მატების 91 პროცენტს, რკინიგზის ტრანსპორტით ტვირთზიდვის მთელ მატებას. სოფლის მეურნეობაში პროდუქციის წარმოების მთელი მატება, რომელიც 4,6 მილიარდ მანეთს შეადგენს, უზრუნველყოფილია 250 ათასით მუშაკთა რიცხვის შემცირების პირობებში.

გეგმით გათვალისწინებულია მატერიალური რესურსების დაზოგვის მნიშვნელოვანი ღონისძიებანი.

1971 წლის გეგმით გათვალისწინებულია სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარების საფუძველზე ქვეყნის ეროვნული შემოსავალი გაიზარდოს 6,1 პროცენტით. ამასთან გათვალისწინებულია პარტიის კურსის — მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების კურსის — შესრულების ღონისძიებანი.

1970 წელს მოსალოდნელ შესრულებასთან შედარებით, თქვა შემდეგ მომხსენებელმა, სამრეწველო პროდუქციის წარმოება გაიზრდება 6,9 პროცენტით, ამასთან ისევე როგორც მიმდინარე წელს, საშუალება გვაქვს დავსახოთ „ბ" ჯგუფის უპირატესი ზრდა, რომლის პროდუქცია 7,4 პროცენტით გაიზრდება.

1971 წელს ელექტროენერგიის გამომუშავება შეადგენს 790 მილიარდ კილოვატსაათს და გაიზრდება 7,3 პროცენტით, ამასთან ელექტროენერგიის მოხმარება სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში გაიზრდება 12,5 პროცენტით და სოფლის მოსახლეობის კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის — 15 პროცენტით. გათვალისწინებულია ამოქმედდეს 12,2 მილიონი კილოვატი ენერგეტიკული სიმძლავრენი, აქედან 9,3 მილიონი კილოვატი სსრ კავშირის ევროპულ ნაწილში, რაც საშუალებას მოგვცემს გავაუმჯობესოთ ამ რაიონის უზრუნველყოფა ელექტროენერგიით.

გეგმით გათვალისწინებული სათბობის რესურსების ზრდა უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებებს. ნავთობის მოპოვება მიაღწევს 371 მილიონ ტონას, გაზისა — 211 მილიარდ კუბურ მეტრს და ქვანახშირისა — 633 მილიონ ტონას, კიდევ უფრო გაუმჯობესდება სათბობის ბალანსის სტრუქტურა ნავთობისა და გაზის სასარგებლოდ.

კიდევ უფრო განვითარდება შავი და ფერადი მეტალურგია. ფოლადის წარმოება მიაღწევს თითქმის 120 მილიონ ტონას, მზა ნაგლინისა — 83,5 მილიონ ტონას, ანუ 4 პროცენტით მეტი იქნება, ვიდრე მიმდინარე წელს. მეტალურგიული მრეწველობის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა შავი ლითონების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესება, მათი სორტამენტის გაფართოება და პროგრესულ და ეკონომიურ სახეობათა ნაგლინის წარმოების გადიდება.

ფერადი მეტალურგიის პროდუქცია გაიზრდება 6 პროცენტით, ამასთან ალუმინის წარმოება გაიზრდება 6 პროცენტით, სპილენძისა — 7 პროცენტით, თუთიისა — 12 პროცენტით, გადიდდება აგრეთვე ტყვიის, ტიტანის, მაგნიუმის, იშვიათი და სხვა ფერადი ლითონების წარმოება.

ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის პროდუქციის გამოშვება მომავალ წელს გაიზრდება 8,7 პროცენტით, ამასთან გათვალისწინებულია, რომ მინერალური სასუქების წარმოება გაიზარდოს 61,3 მილიონ ტონამდე (პირობითი ერთეულებით), ანუ 1970 წლის მოსალოდნელ გამოშვებასთან შედარებით 10,2 პროცენტით, პლასტიკური მასებისა და სინთეზური ფისების წარმოება მიაღწევს 1,8 მილიონ ტონას, ქიმიური ბოჭკოებისა — 672 ათას ტონას. გაიზრდება აგრეთვე სხვა სახეობათა ქიმიური პროდუქციის წარმოება.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ჩამორჩება ზოგიერთი სახეობის ქიმიური პროდუქციის წარმოების განვითარება იმ მიზეზით, რომ დროულად და კომპლექსურად არ ხდება საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედება.

მანქანათმშენებლობის განვითარების გეგმა მიზნად ისახავს არა მარტო მრეწველობის ამ დარგის პროდუქციის რაოდენობრივ ზრდას, არამედ, უპირველეს ყოვლისა, მისი სტრუქტურისა

(გაგრძელება მე-2 გვ.).

# შორეული აღმოსავლეთის მეცნიერების მიჯნები

ვლადივოსტოკი, 7 დეკემბერი. (საქდესის კორ.). სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის შორეული აღმოსავლეთის სამეცნიერო ცენტრში, რომელიც შეიქმნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების შორეული აღმოსავლეთის ფილიალის ბაზაზე, დღეს გაიმართა პრესკონფერენცია. პრესკონფერენცია გახსნა შორეული აღმოსავლეთის სამეცნიერო ცენტრის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. პ. კაპიცამ. მან თქვა, რომ ახლად შექმნილი შორეული აღმოსავლეთის ცენტრის ამოცანაა განავითაროს ფუნდამენტური კვლევა ბუნებისმეტყველებისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში, შეიმუშაოს პრობლემები, რომლებიც ხელს უწყობენ შორეული აღმოსავლეთის ეკონომიკისა და საწარმოო ძალების დაჩქარებულ განვითარებას.

# სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმა

(დასასრული)

# სსრ კავშირის 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და სსრ კავშირის 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

## სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის დეპუტატ ვ. თ. გარბუზოვის მოხსენება

...დასახული ამოცანების შესასრულებლად უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა ადამიანების განსაკუთრებით მაღალ პოლიტიკურ და შრომით აქტივობას, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლას ლენინის იუბილესა და სკკპ მომავალი XXIV ყრილობის აღსანიშნავად.

საბჭოთა ადამიანების დამკვრე-...

(მილიარდი მანეთი)

| | 1970 წელი (მოსალოდნელი შესრულება) | 1971 წელი (პროექტი) |
|---|---|---|
| მთელი გასავალი | 152,3 | 160,6 |
| აქედან: | | |
| სახალხო მეურნეობა | 71,4 | 77,0 |
| სოციალურ-კულტურული ღონისძიებანი | 56,0 | 58,4 |
| თავდაცვა | 17,9 | 17,9 |
| მართვა | 1,65 | 1,69 |

სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი, აღნიშნა ვ. თ. გარბუზოვმა, არის მშვიდობიანი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ბიუჯეტი. 1971 წელს სახალხო მეურნეობისა და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა ხარჯები შეადგენს მთელი ბიუჯეტის 84,3 პროცენტს.

სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის 1971 წლის ბიუჯეტის, საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების საკუთარი სახსრებისა და ბანკის კრედიტების

(დასასრული მე-3 გვერდზე).

კომუნისტი

მე-2 გვერდი, ოთხშაბათი, 9 დეკემბერი, 1970 წ.

YALTA CRIMEA 1970 — II CONCOURS INTERNATIONAL DES VINS URSS

# ოქროს ღვინოები, კონიაკები

## იალტის საერთაშორისო კონკურსის მონაწილის ჩანაწერები

**ამას წინათ იალტაში გაიმართა ღვინოებისა და კონიაკების მეორე საერთაშორისო კონკურსი, რომელშიც მონაწილეობდა მსოფლიოს 28 ქვეყანა. კონკურსზე ფართოდ იყო წარმოდგენილი ქართული ღვინოები და კონიაკები.**

**ამასთან დაკავშირებით ვბეჭდავთ საუბარს ამ კონკურსის სადეგუსტაციო კომისიის წევრთან „სამტრესტის“ მმართველთან გ. თუშმალიშვილთან. იგი ჩვენს მკითხველებს მოუთხრობს იმის შესახებ, თუ როგორ ჩატარდა იალტის საერთაშორისო კონკურსი და რა წარმატება მოიპოვეს ქართულმა ღვინოებმა.**

არც თუ ისე დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ქართველმა მევენახეებმა ახალი შრომითი გამარჯვება იზეიმეს — გადამეტებით შეასრულეს ყურძნის დამზადების მიმდინარე წლისა და ხუთწლიანი გეგმები. წელს ჩვენმა მევენახეებმა 390 ათას ტონაზე მეტი ყურძენი ჩააბარეს სახელმწიფოს, ხოლო მთლიანად ხუთწლედში — 1.479.200 ტონა.

ახლა ჩვენი საპატიო მოვალეობაა სახელოვნად განვაგრძოთ ქართველ მეღვინეთა ტრადიციები — წელსაც დავაყენოთ მხოლოდ საუკეთესო ხარისხის ქართული ღვინოები და კონიაკები.

საამაყოა, რომ იმ 90 ოქროს მედალს, რომლებიც ადრე ჩვენმა ღვინოებმა და კონიაკებმა მოიპოვეს, წელს 29 მიემატა. ეს მედლები ჩვენმა შესანიშნავმა სასმელებმა ღვინოებისა და კონიაკების იალტის მეორე საერთაშორისო კონკურსზე დაი- [illegible]

[illegible] ...ნკურენციას და რა გზით ავიდნენ, ასე ვთქვათ, ოქროს კვარცხლბეკზე?

ღვინოებისა და კონიაკების იალტის საერთაშორისო კონკურსი, რომელსაც ხელმძღვანელობდა, საორგანიზაციო კომიტეტი უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ი. სტეპანენკოს მეთაურობით, ჩინებულად იყო ორგანიზებული.

იალტის კონკურსში მონაწილეობა მიიღო საზღვარგარეთის 22 ქვეყანამ და საბჭოთა კავშირის 11 მოკავშირე რესპუბლიკამ. კონკურსზე მთლიანად წარმოდგენილი იყო 892 ნიმუშის სასმელი, აქედან 633 ღვინის, 81 შამპანური, ცქრიალა და შუშხუნა ღვინის, 125 კონიაკის, 53 არომატული ღვინის ნიმუში და სხვა ნაწარმი.

საკონკურსოდ წარმოდგენილი ღვინის ნიმუშები დეგუსტაციის დაწყებამდე „მასანდრის“ ღვინის კომბინატის ქარხნის სარდაფში მკაცრი კონტროლის ქვეშ ინახებოდა.

საორგანიზაციო კომიტეტის მიერ დამტკიცებულ სადეგუსტაციო კომისიაში, რომელიც ორ ნაწილად იყო გაყოფილი, 20 სპეციალისტი იყო გაერთიანებული.

სადეგუსტაციო კომისიაში შედიოდნენ: ბრახიმ დუაური (ალჟირი), [illegible] რნაჯიოტო (იტალია), მარიან სტარონი (პოლონეთი), მიხაი მაჩიჩო (რუმინეთი). სადეგუსტაციო კომისიის წევრები დაჯილდოვდნენ კონკურსის ოქროს მედლებით და საპატიო დიპლომებით. ისინი, ათ-ათი კაცი ცალ-ცალკე, შენობის მეოთხე და მეხუთე სართულებზე პარალელურად მუშაობდნენ. [illegible]





[illegible] ...24-მა ოქროს მედალი დაიმსახურა, რუმინეთმა 40 ნიმუშიდან — 19 ოქროს მედალი, იუგოსლავიამ 57 ნიმუშიდან — 16 ოქროს მედალი, ჩეხოსლოვაკიამ 39 ნიმუშიდან — 15 ოქროს მედალი, ესპანეთმა 52 ნიმუშიდან — 15 ოქროს მედალი, სა- [illegible]

* * *

სურათზე: კონიაკები (ზემოთ) და ღვინოები, რომლებმაც ოქროს მედლები დაიმსახურეს.
ფოტო ვლ. ზინზურძისა.

# სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

7 დეკემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ პროტესტი განუცხადა ამერიკის შეერთებული შტატების მოსკოვის საელჩოს იმის გამო, რომ ამერიკის ხელისუფლებმა პანამის არხის ზონაში 86 საათს დააკავეს საბჭოთა სამგზავრო თბომავალი „შოთა რუსთაველი“, რომელშიც იყო 750 მგზავრი, მათ შორის ბევრი ქალი და ბავშვი, რომლებიც ინგლისიდან ავსტრალიაში მიდიოდნენ.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსადმი მხილებულია ამ პროვოკაციის ნამდვილი აზრი: ტანკერ „აკვარიუსის“ ამერიკელ-ისრაელ მფლობელებმა, რომელიც ა. წ. სექტემბერში დაეჯახა სრულიად სხვა საბჭოთა გემს, იმის ნაცვლად, რომ დაეცვათ ასეთ შემთხვევებში ჩვეულებრივი პროცედურა ურთიერთპრეტენზიების მოწესრიგებისა, სცადეს ხელში ჩაეგდოთ მძევლებად 750 მგზავრი საბჭოთა გემითურთ თავიანთი კომერციული და როგორც ჩანს, არა მარტო კომერციული მიზნების მისაღწევად. „აკვარიუსის“ მფლობელთა ამ მოქმედებამ და პანამის არხის ზონის ამერიკული ადმინისტრაციის ფაქტიურმა ხელშეწყობამ ამ მოქმედებისათვის, ბუნებრივია, როგორც თვით მგზავრების, ისე ყველა იმათი კანონიერი აღშფოთება გამოიწვია, ვინც შეიტყო ამ უპრეცედენტო შემთხვევის ამბავი.

საბჭოთა მთავრობა, ნათქვამია სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში, მოელის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა იხმარს ღონისძიებებს, რომლებიც გამორიცხავენ ამგვარ შემთხვევებს.

# ტრანსპორტმა რომ უკეთ იმუშაოს

რედაქციაში არაერთი წერილი მოდის საქალაქო ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ. მოქალაქენი აღნიშნავენ, რომ მთელი რიგი მარშრუტებით, მაგალითად ვაკის, საბურთალოს, დიღმის მასივის, ვარკეთილის და სხვა მიმართულებით მიმავალი ავტობუსები გადატვირთულია მგზავრებით. ცნობილია, თუ რაოდენ გავლენას ახდენს ადამიანის შრომისუნარიანობაზე ცუდი მგზავრობა. მაგრამ როგორ შეიძლება მოწესრიგდეს ტრანსპორტის მოძრაობა, როგორ შეუძლიათ ტრანსპორტის მესვეურთ ისე დაგეგმონ მანქანების მოძრაობის განრიგი, რომ ქალაქში და მის გარეუბნებში ყველა მიმართულებით მოძრაობა შეუფერხებლად და დამაკმაყოფილებლად წარიმართოს?

ამის შესახებ ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ესაუბრა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს ბ. გოშაძეს. აი რა განაცხადა მან:

— უკანასკნელ წლებში ჩვენს დედაქალაქში შესამჩნევია სატრანსპორტო საშუალებათა ზრდა, განსაკუთრებით კი — საავტომობილო ტრანსპორტისა. ამიტომ დღეისათვის ისეთი სატრანსპორტო მაგისტრალები, როგორიც არის რუსთაველისა და პლეხანოვის პროსპექტები, ქალაქის ძირითადი მოედნები და მთელი რიგი გადამკვეთი მაგისტრალები ისეა გადატვირთული, განსაკუთრებით „პიკის“ საათებში, რომ უახლოეს მომავალში თუ ასე გაგრძელდა, საერთოდ თითქმის შეუძლებელი იქნება მოძრაობა. ასეთი მდგომარეობის შედეგად დაბალია სატრანსპორტო ნაკადების მოძრაობის სიჩქარე, რაც ზრდის მგზავრობის დროის ხანგრძლივობას. დაბალია მოძრაობის ორგანიზაცია, რის შედეგადაც იზრდება საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები, საფრთხე ექმნება ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობას, იზრდება ხმაური და ტრანსპორტის გამონაბოლქვი გაზებით ჰაერის დაბინძურების კოეფიციენტი.

გაითვალისწინა რა ეს მდგომარეობა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ჯერ კიდევ ორი წლის წინათ მიიღო დადგენილება მოსახლეობის სამგზავრო ტრანსპორტით მომსახურების გაუმჯობესების თაობაზე და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს დაავალა შეედგინა ყველა სახის ტრანსპორტის განვითარების კომპლექსური სქემა ქ. თბილისისა და მისი გარეუბნებისათვის.

აღმასკომი გასული წლის ბოლოს მოსკოვის სატრანსპორტო საინჟინრო ნაგებობათა ინსტიტუტ „გიპროკომმუნდორტრანსთან“ ერთად უკვე შეუდგა ამ კომპლექსური სქემის შედგენის სამუშაოებს, რომლის ძირითადი მიზანია საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის განვითარება ისე მოეწყოს, რომ მშრომელებმა რაც შეიძლება ნაკლები დრო დახარჯონ მგზავრობაზე.

იმისათვის, რომ დადებითად გადაიჭრას ეს მეტად სერიოზული და აქტუალური საკითხი, საჭიროა არსებული სატრანსპორტო საშუალებების განახლება და გამრავლება, არსებული დეპოების, გარაჟების რეკონსტრუქცია და ახლის აშენება, ქუჩების, მაგისტრალების, მოედნების, ხიდების, გზაჯვარედინების გაფართოება, ახალი გზების მშენებლობა. უნდა შეიქმნას ისეთი პირობები, რომ ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელები იზოლირებულ იქნას სატრანსპორტო მაგისტრალებიდან და სხვ.

ტრანსპორტის განვითარების კომპლექსური სქემის შედგენას საფუძვლად უნდა დაედოს ქალაქის განვითარების გენერალური გეგმა, მოსახლეობის ფაქტიური განლაგება შრომითი საქმიანობის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტებისა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მათი საერთო და სატრანსპორტო გადაადგილება და, რაც მთავარია, ის მოთხოვნები და სურვილები, რომლებიც ტრანსპორტის მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას მოითხოვს.

სწორედ ამ მიზნით საქალაქო საბჭოს აღმასკომი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საავტომობილო ტრანსპორტის კათედრასთან ერთად, ქალაქის პარტიული ორგანოების დახმარებით იწყებს სატრანსპორტო და მგზავრთა ნაკადების გამოკვლევას. ამ საქმის ორგანიზებულად მოწყობის მიზნით აღმასკომში შეიქმნა შტაბი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ სხვადასხვა დაინტერესებული ორგანიზაციების პასუხისმგებელი მუშაკები.

ვთხოვთ მოქალაქეებს გულისხმიერად მოეკიდონ ამ საქმეს, რათა დაგვეხმარონ ზუსტად გამოვიკვლიოთ ტრანსპორტის მოძრაობის დაგეგმვის განრიგი, შევიმუშაოთ ჩვენი ქალაქისათვის სატრანსპორტო მოძრაობის კომპლექსური სქემა.

1970 წლის 10 დეკემბერს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მცირე დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი № 17) მოწვეულია სახალხო უნივერსიტეტების რესპუბლიკური აქტივის კრება.

დღის წესრიგი:

რესპუბლიკის სახალხო უნივერსიტეტების ამოცანები სკკპ XXIV ყრილობისათვის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით.

დასაწყისი 12 საათზე.

## კონფერენციაზე ნეპალში

**კატმანდუ.** 7 დეკემბერი. (საკდესი). აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტის დელეგაცია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ი. ე. ნონეშვილის მეთაურობით დღეს ჩამოვიდა ნეპალის დედაქალაქ კატმანდუში აზია-აფრიკის ქვეყნების ხალხთა სოლიდარობის სრულიად ნეპალის პირველ კონფერენციაში მონაწილეობისათვის. ეს კონფერენცია 9 დეკემბერს იხსნება.

ამასთანავე აქ ჩამოვიდა აზია-აფრიკის ქვეყნების ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციის დელეგაცია.

## მოიტაცეს ელჩი

**რიო-დე-ჟანეირო.** 7 დეკემბერი. (საკდესი). დღეს აქ უცნობ პირთა ჯგუფმა მოიტაცა შვეიცარიის ელჩი ჯოვანი ენრიკო ბუჰერი.

# მსოფლიო დღეს

## გენერალურ ასამბლეაზე

**ნიუ-იორკი.** 8 დეკემბერი. (საკდესი). დასავლეთის სახელმწიფოებმა ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით კვლავ მოახვიეს თავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას რეზოლუცია იგრეთწოდებულ „კორეის საკითხზე“, რომელიც სრულიად ეწინააღმდეგება კორეელი ხალხის ძირეულ ინტერესებსა და არ უწყობს ხელს დაძაბულობის შენელებას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

67 ხმის უმრავლესობით 28 ხმის წინააღმდეგ (22-მა თავი შეიკავა) გენერალურმა ასამბლეამ მისცა სანქცია, რომ ამერიკის ჯარებმა განაგრძონ სამხრეთ კორეის ოკუპაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალმით და რომ კვლავ არსებობდეს ყბადაღებული „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კორეის გაერთიანებისა და აღდგენის კომისია“.

**ნიუ-იორკი.** 8 დეკემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეას 25-ე სესიამ შეაჯამა პირველი (პოლიტიკური) კომიტეტის მუშაობის შედეგები. ეს კომიტეტი განიხილავდა საკითხებს, რომლებიც განიარაღების პრობლემას ეხება. ასამბლეამ მიიღო მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი რეზოლუციები ამ პრობლემის გამო.

# ერთი ნაბიჯი—ჩემპიონის გვირგვინამდე

## მოჰამედ ალის ახალი წარმატება

ნიუ-იორკი, 8 დეკემბერი. (საკდესის კორ. ა. ჭიჭულიოვი). ერთერთ ყველაზე პოპულარულ მოკრივეს მოჰამედ ალის ერთი ნაბიჯიღა დარჩა პროფესიონალთა შორის მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის გვირგვინამდე. მან მძიმე ბრძოლაში დაამარცხა არგენტინელი ოსკარ ბონავენა.

ამ შეხვედრამ, რომელიც 7 დეკემბერს გაიმართა, სპორტული საზოგადოებრიობის უდიდესი ყურადღება მიიპყრო. ნიუ-იორკის „მედისონ სკვერ გარდენის“ დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი, მიუხედავად იმისა, რომ ბილეთები ძალიან ძვირი ღირდა (10-დან 75 დოლარამდე), მატჩს დახურული ტელეარხებით გადასცემდნენ შეერთებული შტატების 150-ზე მეტი დარბაზის უზარმაზარ ეკრანებზე.

ორივე მოკრივეს „ჩინებული წარსული“ აქვს. ბონავენას ამ შეხვედრამდე 52 ბრძოლა ჰქონია და 36 ნოკაუტით მოუგია. ალიმ 30 ბრძოლიდან 24 ნოკაუტით დაამთავრა. მას არც ერთხელ არ წაუგია შეხვედრა. ორივე მოკრივე 28 წლისაა.

პირველი რაუნდი სპორტსმენებმა ფრთხილად დაიწყეს. ბონავენა ცდილობდა რამდენიმე გვერდითი დარტყმა მიეყენებინა, მაგრამ მიზანს ვერ აღწევდა. ალი „როკავდა“ და დისტანციას იცავდა, მან მოახერხა ყბაში დაერტყა მოწინააღმდეგისათვის, რის შემდეგაც ბონავენამ ჩაიჩოქა. ნოკდაუნი. მეორე რაუნდში იგი კვლავ უტევს და რამდენიმე დარტყმის კომბინაციას ახორციელებს. მესამე რაუნდში რეფერიმ გააფრთხილა ბონავენა წელსქვემოთ დატყმისათვის. ალიმ ისე შეუტია, რომ ბონავენა კინაღამ რინგიდან გადავარდა. მეოთხე რაუნდში არგენტინელმა სცადა ხელთ ეგდო ინიციატივა. მან რინგის კუთხეში მოიმწყვდია ალი და რამდენიმე დარტყმა მიაყენა კორპუსში. ალი კონტრიერიშზე გადავიდა, მაგრამ მოწინააღმდეგემ თავში მიაყენა დარტყმა. ეს რაუნდი არგენტინელმა მოიგო.

ბონავენამ კვლავ მიიღო რეფერის გაფრთხილება — უკვე მეხუთე — წელქვემოთ დარტყმისათვის. ალი უფრო მხნედ გამოიყურება და ცბიერუტივით დასტრიალებს ბონავენას, ეს უკანასკნელი კი ძლივს ინძრევა. მიუხედავად ამისა არგენტინელმა ორი მომდევნო რაუნდი მოიგო. თანაც, როგორც სპეციალისტები ამბობენ, მისი მეცხრე რაუნდი საუკეთესო იყო. ალი თითქოს დაიღალა. ბრძოლის ტემპი დაეცა. მოულოდნელად ბონავენამ მარცხნიდან დაარტყა თავში, რაზეც მეტოქემ ორი დარტყმით უპასუხა: ეს რაუნდი არგენტინელმა მცირე უპირატესობით დაამთავრა. ორ მომდევნო რაუნდში უპირატესობა კვლავ მის მხარეზეა — იგი ძირითადად კორპუსში უტევს მოწინააღმდეგეს. მეცამეტე რაუნდში ბონავენა უფრო ყოჩაღად გამოიყურება.

უკანასკნელისწინა რაუნდში მოკრივეები ნელი ტემპით იბრძვიან. ორივე აშკარად დაიღალა. ზოგჯერ ბრძოლა ჭიდაობას მოგვაგონებს და ტრიბუნებზე უკმაყოფილო ხმები გაისმის. მეთხუთმეტე რაუნდში ბონავენა ძლიერი დარტყმისაგან შეტორტმანდა, შემდეგ კიდევ ერთი დარტყმა მიიღო. მისმა სეკუნდანტმა რინგზე პირსახოცი გადმოაგდო კაპიტულაციის ნიშნად. მაგრამ რინგის მსაჯმა ყურადღება არ მიაქცია ამას და მოკრივეებმა ბრძოლა განაგრძეს. ალის დარტყმების კომბინაცია და ბონავენა მესამედ აღმოჩნდა ნოკდაუნში.

მაშ ასე, მოჰამედ ალიმ, რომელსაც სამწლინახევრის წინათ მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის წოდება ჩამოართვეს და რინგზე გამოსვლა აუკრძალეს ვიეტნამის წინააღმდეგ აგრესიაში მონაწილეობაზე უარის თქმის გამო, უფლება მოიპოვა გადამწყვეტ ბრძოლაში შეხვდეს ახლანდელ ჩემპიონს ჯო ფრეზერს. ორთაბრძოლა დანიშნულია 1971 წლის თებერვლისათვის.

## ფეხბურთის მედლების კავალრები

მაშ ასე, არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის ფეხბურთელები საბჭოთა კავშირის ახალი ჩემპიონები არიან. პირველობის დებულების თანახმად, სპორტსმენები, რომლებმაც მატჩების 50 პროცენტზე მეტი ითამაშეს, ჯილდოვდებიან ოქროს მედლებით.

1970 წლის ფეხბურთის სეზონის პირველი ლაურეატი არმიელები: ი. პშენიჩნიკოვი, ლ. შმუცი, ვ. აფონინი, ვ. ვოიტენკო, ი. ისტომინი, ვლ. კაპლიჩნი, ა. შესტერნიოვი, ვ. დოლგოვი, მ. პლახეტკო, ან. მასლიაევი, ვლ. პოლიკარპოვი, ვ. უტკინი, ვლ. დუდარენკო, ბ. კოპეიკინი, ვლ. ფედოტოვი.

მეორე ადგილზე გამოსული მოსკოვის „დინამოს“ თხუთმეტი მოთამაშე მიიღებს ვერცხლის მედლებს. ესენი არიან: ვლ. პილგუი, ლ. იაშინი, ვ. ანიჩკინი, ე. ეუკოვი, ვ. ზიკოვი, ვლ. სმირნოვი, ვლ. შტაპოვი, ვლ. ლარინი, ვ. მასლოვი, ვლ. უტკინი, ი. სიომინი, ი. ავრუცკი, გ. ევრუჟიხინი, ვლ. კოზლოვი, ვლ. ეშტრეკოვი.

მოსკოვის „სპარტაკმა“ მესამე ადგილი დაიკავა. მისი თორმეტი მოთამაშე დაჯილდოებულია ბრინჯაოს მედლებით. ესენი არიან: ან. კავაზაშვილი, ნ. აბრამოვი, ვ. ივანოვი, ე. ლოვჩევი, გ. ლოგოფეტი, ვლ. პეტროვი, ვ. კალინოვი, ნ. კისელიოვი, ვ. პაპაევი, ს. ოლშანსკი, ნ. ოსიანინი, გ. ჰუსაინოვი.

(საკდესი).

# ფინიშის წინ

საზონათაშორისო საჭადრაკო ტურნირის მეოცე ტურში ფიშერმა, რომელიც შავებით თამაშობდა ალიოხინის დაცვას, დაამარცხა სათლზი და განიმტკიცა ლიდერის მდგომარეობა.

ჩინებულად თამაშობს ფინიშზე ლარსენი. 43-ე სვლაზე მან მოუგო ბრაზილიელ მეკინგს. კვლავ ჩაება საპრიზო ადგილისათვის ბრძოლაში ულმანი—მან დაამარცხა ჰორტი. სმისლოვმა აჯობა უიტუმენს. ივკოვ-პანოს პარტია ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები დაუმთავრებელი დარჩა.

ახლა ათი მოჭადრაკის მდგომარეობა, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ საპრიზო ადგილებზე, ასეთია:

ფიშერი — 13,5 ქულა (ორი გადადებული პარტია), ლარსენი—13, გელერი — 12,5 (ერთი), ულმანი — 12, ჰიუბნერი — 11,5 (ორი), ტაიმანოვი და პორტიში — თერთმეტ-თერთმეტი (ორი), გლიგორიჩი და მეკინგი — თერთმეტ-თერთმეტი (ერთი), პოლუგაევსკი — 10,5 ქულა (ერთი).

თუ ფიშერის გასვლა მსოფლიო პირველობის შემდგომ ეტაპში — პრეტენდენტთა ტურნირში— ახლა გადაწყვეტილად შეიძლება ჩაითვალოს, დანარჩენ ლიდერთა შანსი ჯერ კიდევ გაურკვეველია. ყურადღებას იპყრობს „მშრალი“ შედეგი, რასაც მიაღწია ენერგიულმა ლარსენმა — 3:0 უკანასკნელ პარტიებში მატულოვიჩთან, ნარანიასა და მეკინგთან.

საბჭოთა გროსმაისტერებიდან ნელა, მაგრამ მტკიცედ მიიწევს ფინიშისაკენ გელერი. იგი ყაიმს დასჯერდა ზედიზედ სამ პარტიაში (ადისონთან, გლიგორიჩსა და პანოსთან). სპეციალისტთა აზრით, საკმარისია მან ორი ქულა მოაგროვოს დარჩენილ ოთხ შეხვედრაში (მათ შორის რეშევსკისთან დაუმთავრებელ პარტიაში), რომ სანუკვარ ექვსეულში მოხვდეს.

ტაიმანოვს გადამწყვეტი ტურების წინ შედარებით ძნელი მდგომარეობა აქვს. ფიშერთან გადადებულ დაბოლოებაში საბჭოთა გროსმაისტერს მოელის მძიმე დაცვა შავი ფიგურების პასიური პოზიციის გამო. მხოლოდ ამ შეხვედრის ყაიმით დამთავრება და შეტევითი ტაქტიკა ფინიშზე, ტაიმანოვს მისცემს წარმატების შანსს.

კიდევ უფრო რთულია პოლუგაევსკის პოზიცია, თუმცა ჯერ არც მას დაუკარგავს იმედები. (საკდესი).

## საბჭოთა ფეხბურთელების ტურნე

**სსრ კავშირის** ექს-ჩემპიონი ფეხბურთში მოსკოვის „სპარტაკი“ განაგრძობს გამოსვლას იტალიაში. მორიგი მატჩი სპარტაკელებს ჰქონდათ ქალაქ ვიჩენცაში საკლუბო გუნდ „ლანეროსისთან“ და შეხვედრა ფრედ — 2:2 დაამთავრეს. საბჭოთა ფეხბურთელებიდან გოლების ავტორები იყვნენ ბულგაკოვი და ჰუსაინოვი.

**დონის როსტოვის** არმიის სასპორტო კლუბის ფეხბურთელები ტურნეს ატარებენ ზემო ვოლტაში. პირველი მატჩი მათ ჰქონდათ ბობო-დიულასოში ამ ქალაქის ნაკრებთან და გაიმარჯვეს 4:3, ხოლო მეორე შეხვედრაში ქალაქ უაგადუგუში აღმოსავლეთ ლიგის გუნდთან დამარცხდნენ 1:2.

## 17 ქულის სხვაობით

**თბილისის** „ბურევესტნიკისა“ და კიევის სკა-ს გუშინდელი მატჩი კალათბურთში მიმზიდველი გამოდგა. მეტოქეებს აქტივში თითო ქულა ჰქონდათ — პირველს 4 თამაშიდან, მეორეს — 5-დან. რა თქმა უნდა, ორჩვეს წყუროდა აუტსაიდერთა ჯგუფიდან თავის დაღწევა და ბრძოლის სიმწვავეც ამან განაპირობა.

მართალია, დასაწყისში წინ იყვნენ სტუმრები, მაგრამ მალე ინიციატივა ხელთ იგდეს თბილისელებმა და მოიგეს ტაიმი 43:30. სტუმრები ბევრს ეცადნენ, რომ მდგომარეობა მეორე ნახევარში გამოესწორებიათ, მაგრამ დამარცხებას მაინც ვერ გადაურჩნენ. „ბურევესტნიკმა“ გაიმარჯვა 80:68. თბილისელებს ყველაზე მეტი ქულა (22-22) მოუტანეს ჩხიკვაძემ და ბიჰიაშვილმა.

## თბილისის ტრადიციული

**დღეს** თბილისის სპორტის სასახლეში იწყება ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ხელბურთში ქალთა გუნდებისათვის გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე.

წლევანდელი ტურნირი (რიცხვით მეხუთე) ყველაზე წარმომადგენლობითია. უცხოელთაგან მონაწილეობენ ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის ნაკრები გუნდები, აგრეთვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ისლანდიის ხელბურთელები, რომლებიც ასეთი სახის შეჯიბრებაში პირველად გამოდიან. ჩვენს ქვეყანას წარმოადგენენ სსრ კავშირის პირველი, ახალგაზრდული, უკრაინისა და საქართველოს ნაკრები გუნდები.

ტურნირმა, რომელიც სამ დღეს გასტანს, უნდა გამოავლინოს არა მარტო უძლიერესი კოლექტივი, არამედ საუკეთესო მოედნის მოთამაშე, მეკარე და ბომბარდირი, რომელთათვის დაწესებულია სპეციალური პრიზები. განვლილ ოთხ ასპარეზობაში ორ-ორჯერ გაიმარჯვეს უნგრეთისა და საბჭოთა ნაკრებმა გუნდებმა. საქართველოს გუნდი ოთხივე ტურნირის მონაწილეა, იგი ორჯერ იყო მესამე ადგილზე.

# კომუნისტი სპორტი

## რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

### ტელევიზია

9 დეკემბერი

11.05 — ახალი ამბები — (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — სატელევიზიო ნარკვევი „მოსკოვი ერთბაშად არ აშენებულა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.45 — მხატვრული ფილმი — „გააღვიძეთ მუხინი!“, 17.00 — სკოლების დასახმარებლად. „თანამედროვის სახე უახლეს საბჭოთა ლიტერატურაში“, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — კინონარკვევი, 18.20 — განცხადებები, 18.25 — მოსწავლეთათვის „40 წელი ცოტა როდია“, 18.55 — კინონარკვევი — „ცეკრინიკსები“ (ქართულ ენაზე), 19.05 — გადაცემა ციკლიდან „ეკონომიური ცოდნის საფუძვლების შემსწავლელთათვის“, 19.25 — გადაცემა „ბესარიონ ყაურიშვილი“, 19.55 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 22.20 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის კინოდარბაზი, 22.00 — ქართული მუსიკის დღეები.

### თეატრები

9 დეკემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ბაიადერა; რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ხანუმა; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ძველი ვოდევილები; გრიბოედოვის სახელობის — მასკარადი (მე-9 აბონ. მე-3 წარმოდგენა); ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ჩემი სიდედრი.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

თბილისი ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, სატირისა და ფელეტონის — 99-60-21, უცხოეთის — 93-95-97, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უუ 10632 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.